*დანართი №2*

**შპს თავისუფალი ხედვის აკადემია**

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)**
**დამატების შესახებ**
**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

| |
|---|
| **ექსპერტთა ჯგუფის წევრები** |
| **თავმჯდომარე**: ქეთევან ბოტკოველი (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი) |
| **წევრი:** მზია ბაკურიძე - დარგის ექსპერტი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ნაწილი I. შესავალი**

**I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ**

**დაწესებულების სახელწოდება:** შპს თავისუფალი ხედვის აკადემია

**ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა:** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

**საიდენტიფიკაციო კოდი:** 406460235

**სახე:**

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 16 ივნისის MES 5 26 0000719744 ბრძანების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს „თავისუფალი ხედვის აკადემიის“ მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ფარმაცია ( სააფთიაქო)““ – დამატებასთან დაკავშირებით შესაბამისობის შეფასება.

შეფასება განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

აღნიშნული მიზნით ექსპერტთა ჯგუფმაა ვიზიტი განახორციელა შპს „თავისუფალი ხედვის აკადემიაში“ 2026 წლის 23 ივნისს, მისამართზე: ქ. თბილისი, თრიალეთის ქ. №50.

ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების უზრუნველყოფის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალები. ასევე გაიმართა ექსპერტთა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, რომლის ფარგლებში განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები და შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი. აღნიშნული დღის წესრიგი გადაეგზავნა დაწესებულებას და მის შესაბამისად განხორციელდა ვიზიტი.

გეგმის მიხედვით, გაიმართა შეხვედრები დაწესებულების ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან, პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან. ამასთან, განხორციელდა დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დათვალიერება და ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლა-შეფასება.

შეფასების პროცესი წარიმართა თანამშრომლობისა და კეთილგანწყობის გარემოში - დაწესებულებამ სრულად შეუწყო ხელი ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობას და უზრუნველყო შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენა.

ვიზიტის დასკვნით ეტაპზე, შედეგების პრეზენტაციისას, დაწესებულების წარმომადგენლებს მიეწოდათ ინფორმაცია ექსპერტების დოკუმენტური ანალიზისა და გასაუბრებების საფუძველზე ჩამოყალიბებული ძირითადი მიგნებების შესახებ.

## III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება**

*ხარვეზები არ დაფიქსირებულა*

**III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება**

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა.

**IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება**

განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა.

**V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე**

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა არგუმენტირებული პოზიცია.

**ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

**I. ზოგადი ინფორმაცია**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ფარმაცია (სააფთიაქო) |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0916 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | 2026 წლის 18 მაისის N 01/43 ბრძანება |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. თბილისი, თრიალეთის ქ. N50 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | **რეალურ სამუშაო გარემოში** |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | **კოოპერაციული** |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | **120 კოოპერაციული** |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)* | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | **120** |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | **150** |

**II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.*

| | |
|---|---|
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | |

**III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი**

***ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე***



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

აკადემიის მიერ „ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ეფუძნება მრავალმხრივ და სისტემურ ანალიზს, რომელიც აერთიანებს შრომის ბაზრის მოთხოვნების, დაინტერესებული მხარეების ინტერესებისა და პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი რესურსული უზრუნველყოფის შეფასებას. აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულია არსებული სტატისტიკური მონაცემებისა და სექტორული განვითარების ტენდენციების გათვალისწინებით, რის შედეგადაც პროგრამა შეფასდა როგორც მიზანშეწონილი და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტრატეგიულად მნიშვნელოვანი. შესაბამისად, იგი სრულ თანხვედრაშია აკადემიის მისიასა და განვითარების სტრატეგიასთან, რომელიც მიზნად ისახავს შრომის ბაზარზე მოთხოვნადი, კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრების მომზადებას.

ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აკადემიის მისია პირდაპირ უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიციური კადრების მომზადებას სხვადასხვა პროფესიულ მიმართულებაში, ხოლო სტრატეგიული განვითარების გეგმა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, რომლებიც რეალურ ეკონომიკურ და სოციალურ საჭიროებებს პასუხობს. სწორედ ამ ლოგიკური საფუძვლის გათვალისწინებით, „ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროგრამის დამატება ბუნებრივად ეწერება როგორც მისიაში, ისე სტრატეგიულ პრიორიტეტებში და ხელს უწყობს მათ პრაქტიკულ განხორციელებას.

ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის მიზანშეწონილობის შეფასების პროცესში აკადემიამ შეისწავლა და გააანალიზა ეროვნულ დონეზე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევები, მათ შორის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2024 წელს მომზადებული „საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი“ და 2025 წლის კვლევა „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნა“. აღნიშნული კვლევების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ფარმაცევტულ სექტორში კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნა სტაბილურად მზარდია, რაც განპირობებულია როგორც ჯანდაცვისა და მომსახურების სექტორის გაფართოებით, ისე ფარმაცევტული ქსელებისა და საფთიაქო დაწესებულებების რაოდენობის ზრდით.

კვლევების შედეგებმა ასევე აჩვენა, რომ დამსაქმებლები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ისეთ კომპეტენციებს, როგორიცაა ფარმაცევტული პროდუქციის გაცემისა და მომხმარებლის კონსულტირების უნარი, მედიკამენტების უსაფრთხო გამოყენების პრინციპების ცოდნა, მარაგებისა და საწყობის მართვის უნარები, ელექტრონული სისტემების გამოყენება და მომხმარებელთან ეფექტური კომუნიკაცია. ამასთან, კვლევებით დადასტურდა, რომ ფარმაცევტული სექტორი ერთ-ერთ აქტიურ დასაქმების სფეროს წარმოადგენს, სადაც მუდმივად ფიქსირდება მოთხოვნა როგორც ფარმაცევტებზე, ისე ფარმაცევტის ასისტენტებზე.

მიღებული მონაცემებისა და ანალიზის საფუძველზე აკადემიამ დაასკვნა, რომ „ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება პასუხობს შრომის ბაზრის არსებულ და პროგნოზირებად მოთხოვნებს. შესაბამისად, პროგრამის დანერგვის გადაწყვეტილება ეფუძნება მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მიდგომას და წარმოადგენს აკადემიის მხრიდან შრომის ბაზრის საჭიროებებზე ორიენტირებულ, დასაბუთებულ და სტრატეგიულ გადაწყვეტილებას. პროგრამის ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად აკადემიამ ასევე შეაფასა საკუთარი რესურსები და დაადასტურა, რომ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაციის ადამიანური რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხიან განხორციელებას.

აქვე უნდა აღინისნოს, რომ დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და დამტკიცების პროცესი რეგულირდება „თავისუფალი ხედვის აკადემიის“ დირექტორის 2025 წლის 27 აგვისტოს №01/76 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით – „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია და დამტკიცების წესი“. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი ადასტურებს, რომ პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და დამტკიცების პროცესი მკაფიოდ არის გაწერილი და ეფუძნება განსაზღვრულ პროცედურებსა და პასუხისმგებლობების განაწილებას.

პროცესში უზრუნველყოფილია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისა და პასუხისმგებელი პირების მონაწილეობა, მათ შორის სამუშაო ჯგუფის, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერისა და ადმინისტრაციის ჩართულობა, რაც ხელს უწყობს პროგრამის ხარისხის, შესაბამისობისა და პრაქტიკული რელევანტურობის უზრუნველყოფას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის დამტკიცებამდე ხორციელდება მისი მრავალეტაპიანი განხილვა და შეფასება, რომლის ფარგლებში მოწმდება პროგრამის შესაბამისობა საკანონმდებლო მოთხოვნებთან, პროფესიული განათლების სტანდარტებთან და დაწესებულების სტრატეგიულ პრიორიტეტებთან. აღნიშნული პროცედურების დასრულების შემდეგ პროგრამა მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით), ხოლო გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით ქვეყნდება აკადემიის ოფიციალურ ვებგვერდზე.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.1.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი "ფარამაცია (სააფთიაქო)" (Vდონე) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და შერჩევის პროცედურები არის მკაფიოდ განსაზღვრული და უზრუნველყოფს სამიზნე ჯგუფის სწორ შერჩევას. დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სრული ზოგადი განათლება. აკადემიაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N 42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები"-ს შესაბამისად. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია აკადემიის ხელმძღვანელის მიერ გამოცემული ბრძანება პირის კოლეჯში ჩარიცხვასთან დაკავშირებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ შერჩევის პროცესი არის რეგლამენტირებული და უზრუნველყოფს პროგრამაზე იმ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება შეესაბამება პროგრამის მოთხოვნებს და ქმნის საფუძველს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების დადგენილ ვადაში მიღწევისთვის.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.1.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. **პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებაში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა რეგულირდება შესაბამისი მეთოდოლოგიით, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 15 აპრილის №01/11 ბრძანებით. აღნიშნული მეთოდოლოგია ეფუძნება მტკიცებულებებსა და მონაცემებზე დაფუძნებულ მიდგომას, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრას არსებული მოთხოვნის, რესურსებისა და დაწესებულების შესაძლებლობების გათვალისწინებით. ეს ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიან დაგეგმვასა და პროგრამების ხარისხიან განხორციელებას.

წარმოდგენილი მეთოდოლოგიის საფუძველზე დგინდება, რომ აკადემიაში სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა ხორციელდება მრავალფაქტორული ანალიზის პრინციპით, რომელიც ითვალისწინებს როგორც სასწავლო გარემოს ტიპებს (A, B და C), ისე მათი გამოყენების მოქნილ მოდელებსა და დატვირთვის ოპტიმიზაციას. სასწავლო სივრცეების ეფექტიანი გამოყენება შესაძლებელია ერთდროულად რამდენიმე პროგრამისა და მოდულის განხორციელების პირობებში, კვირეული საათობრივი დატვირთვისა და ორცვლიანი რეჟიმის გათვალისწინებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამასთან, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულია ადამიანური რესურსი, ადმინისტრაციული მხარდაჭერა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და პრაქტიკის ობიექტების შესაძლებლობები. აღნიშნული უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებულობასა და რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

მეთოდოლოგია ასევე ითვალისწინებს მონაცემებზე დაფუძნებულ მიდგომას - აპლიკანტთა რაოდენობას, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. საბოლოო გადაწყვეტილება ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ მიიღება აკადემიის ხელმძღვანელის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს პროცესის ლეგიტიმურობასა და გამჭვირვალობას.

აღნიშნული მეთოდოლოგიის საფუძველზე პროგრამაზე "ფარამაცია ( საფთიაქო)" განსაზღვრულია სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა – 120 პროფესიული სტუდენტი 2 ცვლაში. ზღვრული ოდენობის დადგენისას გათვალისწინებულია დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ადამიანური რესურსები და სასწავლო სივრცეების შესაძლებლობები.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.1.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური და სასწავლო რესურსებით, რომლებიც ინტეგრირებულია პროგრამის მოდულებში. რესურსების ჩამონათვალი თანხვედრაშია საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ სარეკომენდაციო მოთხოვნებთან და ადასტურებს მათ რელევანტურობას.

ამასთან, მოდულებში გათვალისწინებული სასწავლო რესურსები პირდაპირ უკავშირდება სწავლის შედეგებს და ქმნის მათი მიღწევის რეალურ შესაძლებლობას. შესაბამისად, წარმოდგენილი მატერიალური ბაზა არის საკმარისი, მიზნობრივი და უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან და ხარისხიან განხორციელებას.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.1.1.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

5. **საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;**

პროგრამას არ აქვს არჩევითი მოდულები

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.1.1.5.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

6. **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება მკაფიოდ არის განსაზღვრული დაწესებულების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით (შპს „თავისუფალი ხედვის აკადემიის" დებულება - დამტკიცებულია შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის დირექტორის 2024 წლის 01 აპრილის N 01/1 ბრძანებით ბოლო ცვლილება განხორციელებულია შპს თავისუფალი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხედვის აკადემიის დირექტორის 2026 წლის 09 თებერვლის N 01/14 ბრძანებით; 2025 წლის 27 აგვისტოს №01/76 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი – „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია და დამტკიცების წესი) და აკადემიის ხელმძღვანელის კომპეტენციას წარმოადგენს. ასევე დადასტურებულია, რომ „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დადგენილი პროცედურების დაცვით, შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე - აკადემიის ხელმძღვანელის 2026 წლის 18 მაისის N 01/43 ბრძანებით (ბოლო ცვლილება შესულია 2026 წლის 18 ივნისის N 01/53 ბრძანებით). აღნიშნული უზრუნველყოფს პროგრამის ლეგიტიმურობასა და ინსტიტუციურ შესაბამისობას.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.1.1.6.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;**

წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ „ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება შესაბამისობაშია პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან და არ შეიცავს შეცდომაში შემყვან ელემენტებს. პროგრამის სახელწოდება სრულად ასახავს მის შინაარსს და მიზნებს.

ამასთან, პროგრამით განსაზღვრული ყველა სწავლის შედეგი დაკავშირებულია სფეროში დასაქმებული პირის ფუნქციებთან, მოვალეობებთან და პროფესიულ კომპეტენციებთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსობრივ შესაბამისობას და მის პრაქტიკულ ორიენტაციას.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.1.1.7.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

8. **პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის - „ფარმაცია (სააფთიაქო) / Pharmacy“ (სარეგისტრაციო ნომერი: 09110-პ) საფუძველზე და უზრუნველყოფს აღნიშნული სტანდარტით განსაზღვრული მოთხოვნების სრულ ასახვას. პროგრამაში სრულად არის განსაზღვრული ძირითადი კომპონენტები, მათ შორის: პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგები, ასევე ინფორმაცია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების, კრედიტების და პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ. გათვალისწინებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლების საკითხებიც.

მოდულები მოიცავს შეფასების მიმართულებებს, განხორციელების პირობებს, საათების განაწილების სქემას, ლიტერატურას და სსსმ სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმებს. პროგრამას თან ერთვის სასწავლო გეგმები როგორც ქართულენოვანი, ისე არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, სადაც ასახულია მოდულების თანმიმდევრობა, წინაპირობები და სტუდენტთა კვირეული დატვირთვა.

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 3 ზოგად მოდულს, ჯამური 11 კრედიტის მოცულობით, და 26 პროფესიულ მოდულს, ჯამური 109 კრედიტის მოცულობით, რაც მთლიანობაში შეადგენს 120 კრედიტს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით, სავალდებულოა ქართული ენის A2 და B1 მოდულების (30 კრედიტი) გავლა. აღნიშნული პირებისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით, რის შედეგადაც პროგრამის საერთო მოცულობა შეადგენს 150 კრედიტს.
შესაბამისად, დგინდება, რომ პროგრამა სრულად აკმაყოფილებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**ინდიკატორის (2.1.1.8.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- "თავისუფალი ხედვის აკადემიის პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი";
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- ზღვრული რაოდენობის დასაბუთების დოკუმენტი;
- პროგრამის პაკეტი;
- ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- პროგრამით გათვალისწინებულ მატერიალურ და საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი;
- აკადემიის ფილოსოფია.
- თავისუფალი ხედვის აკადემიის დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია და დამტკიცების წესი.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ფარმაცია (სააფთიაქო)“ განხორციელება დაგეგმილია აკადემიისა და ფარმაცევტული კომპანია სს „ჰსპ გეფას“ ბაზაზე. მხარეებს შორის 2026 წლის 24 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე განსაზღვრულია პროფესიული პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება სს „გეფას“ სააფთიაქო ქსელის ბაზაზე.

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ჩარჩო დოკუმენტის - „ფარმაცია (სააფთიაქო)/Pharmacy“ საფუძველზე შექმნილი მოდულების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება, მათ შორის: პროდუქციის მიღება, განთავსება და ნაშთის კონტროლი; მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებაში; მომხმარებლისთვის სხვადასხვა ფარმაცევტული პროდუქტისა და მოვლის საშუალებების შერჩევა; მცირე შეფუთვად მზა წამლების ფორმების დაფასოება, შეფუთვა და მარკირება; აგრეთვე სანიტარიულ-ჰიგიენური, გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში.

წარმოდგენილი ხელშეკრულებისა და შეთანხმების დოკუმენტების თანახმად, პარტნიორი ორგანიზაცია უზრუნველყოფს ერთდროულად 120 პროფესიული სტუდენტის მიღებას და ხელშეკრულებით განსაზღვრული პრაქტიკული სწავლების კომპონენტის ანაზღაურების გარეშე განხორციელებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სს „გეფას“ 2026 წლის 29 მაისის მხარდაჭერის წერილი, რომელიც ადასტურებს კომპანიის დაინტერესებას შპს „თავისუფალი ხედვის აკადემიასთან“ თანამშრომლობითა და ფარმაციის მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებით. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში კომპანიის წარმომადგენელთან განხორციელებული გასაუბრების შედეგად ასევე დადასტურდა პროგრამის განხორციელების პროცესში აქტიური ჩართულობისა და თანამშრომლობის მზაობა. პარტნიორი ორგანიზაცია გამოხატავს მზადყოფნას მონაწილეობა მიიღოს პროგრამის განვითარებაში, გააზიაროს დამსაქმებლის უკუკავშირი და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესახებ ინფორმაცია, ხელი შეუწყოს პრაქტიკული სწავლების განხორციელებას და ითანამშრომლოს კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობების განხილვის მიმართულებით. აღნიშნული გარემოებები ადასტურებს პროგრამის კავშირს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და დამსაქმებელთან ეფექტიანი თანამშრომლობის არსებობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აკადემიის მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, რომლებიც აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ განხორციელებისთვის. ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი და პროფესიული მოდულების სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის ბაზაზე არსებული რესურსებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (120) გათვალისწინებით.

**აკადემიას პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილი აქვს:**

A ტიპის სასწავლო გარემო, რომელშიც განთავსებულია: პროფესიული სტუდენტის მაგიდები (30 პროფესიულ სტუდენტზე), პროფესიული სტუდენტის სკამები (30 ც.), პროფესიული მასწავლებლის მაგიდა (1 ც.) და სკამი (1 ც.), პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერის კომპლექტი (1 ც.), დემონსტრირების საშუალება (1 ც.) და დაფა (1 ც.).

B ტიპის სასწავლო გარემოში (ზოგადი მოდულებისთვის) განთავსებულია: პროფესიული მასწავლებლის მაგიდა (1 ც.) და სკამი (1 ც.), პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერის კომპლექტი (1 ც.), პროფესიული სტუდენტების სამუშაო ადგილები კომპიუტერის კომპლექტებით (32 ც.), დემონსტრირების საშუალება (1 ც.), დაფა (1 ც.), პრინტერი (კომბაინი) (1 ც.) და ფლეშმეხსიერება (1 ც.). აღნიშნული სივრცე გამტარუნარიანია მოდულის „ინფორმაციული წიგნიერება“ განხორციელებისათვის, რაც დადასტურებულია ექსპერტთა შეფასებით.

A/C ტიპის სასწავლო გარემო, რომელიც მოიცავს ორ სივრცეს - ლაბორატორიასა და იმიტირებულ აფთიაქს:

- A/C 1 – ქიმიურ-ბიოლოგიურ-ტექნოლოგიური ლაბორატორია, აღჭურვილია: პროფესიული სტუდენტის მაგიდები (30 პროფესიულ სტუდენტზე), პროფესიული სტუდენტის სკამები (30ც.), პროფესიული მასწავლებლის მაგიდა (1 ც.) და სკამი (1 ც.), პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერის კომპლექტი (1 ც.), დემონსტრირების საშუალება (1 ც.), დაფა (1 ც.) და პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული შესაბამისი მატერიალური რესურსები და აღჭურვილობა.
- A/C 2 – ფარმაცევტული ლაბორატორია (იმიტირებული აფთიაქი), აღჭურვილია: პროფესიული სტუდენტის მაგიდები (30 პროფესიულ სტუდენტზე), პროფესიული სტუდენტის სკამები (30 ც.), პროფესიული მასწავლებლის მაგიდა (1 ც.) და სკამი (1 ც.), პროფესიული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლის კომპიუტერის კომპლექტი (1 ც.), დემონსტრირების საშუალება (1 ც.), დაფა (1 ც.) და პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული შესაბამისი მატერიალური რესურსები და აღჭურვილობა.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეესაბამება პროგრამის სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს. დაწესებულება უზრუნველყოფილია შესაბამისი სასწავლო სივრცეებით, ლაბორატორიებითა და იმიტირებული აფთიაქით, რაც 120 პროფესიული სტუდენტისთვის ორი ცვლის პირობებში პროგრამის ეფექტიან განხორციელებას უზრუნველყოფს. ამასთან, სს „გეფასთან“ არსებული თანამშრომლობა ქმნის შესაძლებლობას პრაქტიკული კომპონენტები განხორციელდეს რეალურ სამუშაო გარემოში, რაც ხელს უწყობს პროფესიული კომპეტენციების განვითარებას, შრომის ბაზართან კავშირის გაძლიერებასა და პროგრამის მიზნების ეფექტიან მიღწევას.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.2.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. **პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ განმახორციელებლები დამტკიცებულია თავისუფალი ხედვის აკადემიის ხელმძღვანელის 2026 წლის 18 მაისის N01/43 ბრძანებით (ცვლილება განხორციელებულია 2026 წლის 18 ივნისის N01/53 ბრძანებით). პირადი საქმეებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 33 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 10 ახორციელებს ზოგად მოდულებს, ხოლო 23 - დარგობრივ მოდულებს.

ყველა პროფესიული მასწავლებელი აკმაყოფილებს აკადემიის მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ფლობს შესაბამის განათლებას, კვალიფიკაციასა და პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო პროფესიულ გამოცდილებას. პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები შეიცავს მათი კვალიფიკაციისა და პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელ დოკუმენტებს.

ყველა პროფესიულ მასწავლებელთან გაფორმებულია მომსახურების და პროგრამის ხელმძღვანელთან შრომითი ხელშეკრულება, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, პროფესიული მასწავლებლის დატვირთვას, განსახორციელებელი მოდულების ჩამონათვალს, შრომის ანაზღაურების პირობებს, შვებულების გაცემისა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის წესებს.

პროგრამის საკადრო რესურსი უზრუნველყოფს როგორც ზოგადი, ისე დარგობრივი მოდულების სრულფასოვან განხორციელებას და რაოდენობრივად და თვისობრივად შეესაბამება პროგრამის მიზნებს, სწავლის შედეგებსა და დაგეგმილ პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტს. პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ ცდება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.2.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ შესაბამის დარგობრივ ცოდნას, პროფესიულ გამოცდილებასა და პროფესიულ-პედაგოგიურ კომპეტენციებს, რაც პროგრამის ეფექტიანად განხორციელების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. მათი კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება შეესაბამება განსახორციელებელი მოდულების შინაარსსა და პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ ისინი ფლობენ მოდულებზე დაფუძნებული სწავლების დაგეგმვისა და განხორციელებისთვის საჭირო ცოდნასა და უნარებს. მათ მიერ გააზრებულია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპები და გამოიყენება პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაფუძნებული, ინტერაქტიული და შემთხვევების ანალიზის მეთოდები. აღნიშნული მიდგომები ხელს უწყობს პროფესიული სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისი სასწავლო პროცესის წარმართვასა და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ასევე დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის დაგეგმილია პროფესიული განვითარების აქტივობები. აკადემიამ წარმოადგინა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიული პროგრამის პედაგოგთა პროფესიული განვითარების გეგმა, რომელიც მოიცავს ტრენინგებს ორგანიზაციის მისიისა და საქმიანობის ძირითადი მიმართულებების, შიდა რეგულაციებისა და პროცედურების, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის, პროფესიული მასწავლებლის ეთიკის კოდექსის, პროფესიული სტანდარტის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და გამოყენების საკითხებზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ აკადემიაში პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარება განიხილება უწყვეტ პროცესად, რაც ხელს უწყობს მათი პროფესიული და პედაგოგიური კომპეტენციების გაძლიერებას და პროგრამის ხარისხიან განხორციელებას.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.2.1.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ ეფექტიანი განხორციელების მიზნით დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც ფლობს შესაბამის განათლებას, დარგობრივ გამოცდილებასა და პროფესიულ კომპეტენციებს. მისი საქმიანობის სფერო და პასუხისმგებლობები რეგულირდება დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულებით.

დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგების საფუძველზე დადასტურდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად იყო ჩართული როგორც პროფესიული სტანდარტის ანალიზისა და პროგრამის კონცეფციის შემუშავების, ისე თავად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის პროცესში.

პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია პროგრამის დაგეგმვისა და განვითარების ყველა მნიშვნელოვან ეტაპზე, მათ შორის პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სასწავლო პროცესისთვის საჭირო რესურსების განსაზღვრისა და პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დაგეგმვის პროცესში. იგი ასევე უზრუნველყოფს დარგში მიმდინარე ცვლილებების, სიახლეებისა და ინოვაციების პროგრამის შინაარსში ასახვის ხელშეწყობას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება და პროგრამის შემუშავების პროცესში მისი უშუალო მონაწილეობა ქმნის მნიშვნელოვან საფუძველს პროგრამის ხარისხიანად განხორციელებისა და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„ფარმაცია (საფთიაქო)“** ხელმძღვანელი ასევე ჩართული არის პროფესიული მოდულების განოხრციელების პროცესში, როგორც პროფესიული განათლების მასწავლებელი.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.2.1.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

აკადემია უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის აუცილებელ საინფორმაციო და სასწავლო რესურსებზე წვდომას. დაწესებულებაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომელიც წარმოადგენს სასწავლო პროცესის მნიშვნელოვან მხარდამჭერ სივრცეს და მოიცავს როგორც ბეჭდურ, ისე ელექტრონულ საგანმანათლებლო რესურსებს.
ბიბლიოთეკის ფონდში წარმოდგენილია პროფესიული პროგრამების მოდულებთან შესაბამისი სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო მასალები. ამასთან, ბიბლიოთეკის კომპიუტერულ ქსელში განთავსებულია მოდულებში რეკომენდებული ელექტრონული რესურსები და სახელმძღვანელოები, რაც პროფესიულ სტუდენტებსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებს საჭირო ინფორმაციის ოპერატიულად მოძიებისა და გამოყენების შესაძლებლობას აძლევს.
პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის უზრუნველყოფილია როგორც ბიბლიოთეკაში არსებული, ისე ინტერნეტსივრცეში განთავსებული დამატებითი საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა. ელექტრონული მასალების ნაწილი ხელმისაწვდომია QR კოდების საშუალებით, რაც ხელს უწყობს სასწავლო რესურსების მარტივ ხელმისაწვდომობასა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას სასწავლო პროცესში.
საბიბლიოთეკო სივრცე აღჭურვილია სამუშაო მაგიდებითა და კომპიუტერული ტექნიკით, რაც პროფესიულ სტუდენტებს დამოუკიდებელი მუშაობის, ინფორმაციის მოძიებისა და საბიბლიოთეკო სერვისებით სარგებლობის შესაძლებლობას აძლევს. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.
ექსპერტთა მიერ მოდულებში მითითებული ლიტერატურის შერჩევითი პრინციპით გადამოწმების შედეგად დადასტურდა, რომ სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით.
პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პირებთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე ასევე დადგინდა, რომ პროგრამის განხორციელებისთვის მნიშვნელოვანი ნორმატიული აქტების კონსოლიდირებული ვერსიები ხელმისაწვდომია პროგრამის ხელმძღვანელისა და პერსონალისთვის ავტორიზებული მომხმარებლის სტატუსით სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ საძიებო სისტემაში. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს პერსონალის ინფორმირებას საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული გარემოებები ადასტურებს, რომ აკადემიაში უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო საინფორმაციო, საბიბლიოთეკო და ელექტრონული რესურსების ხელმისაწვდომობა, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიან წარმართვასა და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.2.1.5) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად**

აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, დაწესებულებაში მოქმედებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების მექანიზმი, რომელიც ორიენტირებულია თითოეული სტუდენტის საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებასა და მხარდაჭერაზე. აღნიშნული მექანიზმი გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც სტუდენტის ინდივიდუალური გარემოებები ან საგანმანათლებლო საჭიროებები მოითხოვს სტანდარტული სასწავლო გეგმისგან განსხვავებულ მიდგომას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შემუშავდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის, ასევე მობილობის, სტატუსის აღდგენის, არაფორმალური განათლების აღიარების ან სხვა შესაბამისი გარემოებების არსებობის შემთხვევაში.

გეგმის მომზადებისა და განხორციელების პროცესში ჩართული არიან სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელი პირები, პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწავლებლები და თავად სტუდენტი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – შესაბამისი დარგის სპეციალისტებიც. აღნიშნული თანამშრომლობითი მიდგომა უზრუნველყოფს სტუდენტის საჭიროებების სრულყოფილ შეფასებას და მისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში აკადემია უზრუნველყოფს სასწავლო რესურსების, მეთოდებისა და აქტივობების ხელმისაწვდომობას. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მოდულების აკომოდაცია ან მოდიფიკაცია, რაც შეიძლება შეეხოს სწავლების ფორმებს, სასწავლო მასალებს, შეფასების მეთოდებსა და სხვა საგანმანათლებლო კომპონენტებს. განხორციელებული ცვლილებების შესახებ სტუდენტი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი ინფორმირებულია წინასწარ და სრულყოფილად, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და მონაწილე მხარეების ინფორმირებულ ჩართულობას.

აკადემიის ბიბლიოთეკის წარმომადგენელმა- საბიბლიოთეკო სერვისების განვითარების მენეჯერმმა ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ დაწესებულებას არ ჰყოლია ინდივიდუალური საჭიროების მქონე მსმენელი, თუმცა ასეთი პირის ჩარიცხვის შემთხვევაში ბიბლიოთეკა მზადაა მოემსახუროს და გაუწიოს მისთვის საჭირო სერვისი, მათ შორის: გაზრდილი შრიფტით სასწავლო მასალის ამობეჭდვა, ადაპტირებული სასწავლო მასალის შექმნის ორგანიზება და სხვა.

აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს თანასწორი საგანმანათლებლო შესაძლებლობების შექმნას, სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებასა და სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევას.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.2.1.6) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

აკადემიას გააჩნია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური რესურსები, რაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ სტაბილურ და უწყვეტ ფუნქციონირებას. ფინანსური დაგეგმვის სისტემა ორიენტირებულია პროგრამის მდგრადობის, ხარისხიანი განხორციელებისა და საჭირო რესურსების დროული უზრუნველყოფის პრინციპებზე.

პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ვაუჩერული დაფინანსება.პროგრამისთვის შემუშავებულია დეტალური საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს როგორც მოსალოდნელ შემოსავლებს, ასევე პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია პროგრამის ადმინისტრირების, პერსონალის ანაზღაურების, სასწავლო და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, პრაქტიკული კომპონენტების ორგანიზებისა და სხვა აუცილებელი ხარჯების დაფინანსება.

საპროგნოზო ფინანსური გათვლები ეფუძნება სტუდენტთა იმ მინიმალურ რაოდენობას, რომლის არსებობის შემთხვევაშიც პროგრამა ფინანსურად სიცოცხლისუნარიანია და სრულად უზრუნველყოფილია მისი განხორციელებისთვის საჭირო რესურსების დაფინანსება. ჩატარებული ფინანსური ანალიზის საფუძველზე, პროგრამის რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 10 პროფესიული სტუდენტით, რაც ნიშნავს, რომ აღნიშნული რაოდენობის სტუდენტთა მიღების შემთხვევაშიც კი აკადემიას შეუძლია პროგრამის შეუფერხებლად განხორციელება და მასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვა. აღნიშნული გარემოება ადასტურებს, რომ დაწესებულება ფინანსურად მზად არის პროგრამის განხორციელებისთვის და ფლობს საკმარის შესაძლებლობებს, რათა უზრუნველყოს პროგრამის ხარისხის შენარჩუნება, დაგეგმილი აქტივობების შესრულება და პროფესიული სტუდენტებისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.2.1.7) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;
- მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- გასაუბრების შედეგები.

**შეფასება:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;**

აკადემიაში დანერგილია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი, რომელიც რეგულირდება აკადემიის ხელმძღვანელის 2025 წლის 27 აგვისტოს №01/72 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით. შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში პროცესები გაწერილია PDCA პრინციპის საფუძველზე და მოიცავს როგორც ძირითად, ისე დამხმარე პროცესებს. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების პროცესების თანმიმდევრულ მართვას.

ხარისხის უზრუნველყოფის ფარგლებში პროგრამების განვითარება ეფუძნება უწყვეტი გაუმჯობესების პრინციპს. პროგრამების დაგეგმვისა და განახლების პროცესში გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები, დარგის განვითარების ტენდენციები და დაინტერესებული მხარეების მოსაზრებები. აღნიშნულ პროცესში ჩართულნი არიან პროფესიული სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პარტნიორი ორგანიზაციები, პროგრამის ხელმძღვანელები და პროფესიული განათლების მასწავლებლები, რაც უზრუნველყოფს პროგრამების აქტუალურობასა და პრაქტიკულ ღირებულებას.

პროგრამების შეფასების მიზნით აკადემია იყენებს მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის მრავალფეროვან ინსტრუმენტებს. ინფორმაციის მოპოვება ხორციელდება რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით, მათ შორის გამოკითხვების, ინტერვიუების, ფოკუს-ჯგუფების, დაკვირვებისა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და სხვა კვლევითი აქტივობების საშუალებით. მიღებული ინფორმაცია ექვემდებარება სისტემურ ანალიზსა და გადამოწმებას, რაც გადაწყვეტილებების მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მიღებასა და შესაბამისი გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვას უზრუნველყოფს.

პროგრამების შედეგიანობის შეფასების პროცესში გამოიყენება სხვადასხვა ტიპის მონაცემები, მათ შორის ჩარიცხვისა და შენარჩუნების მაჩვენებლები, სტუდენტთა აკადემიური მიღწევები, სტატუსის ცვლილებების სტატისტიკა, მობილობის შედეგები, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები, დამსაქმებელთა შეფასებები და სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგები.

პროგრამების შექმნის, ცვლილებების განხორციელებისა და დამტკიცების პროცედურებს დამატებით არეგულირებს აკადემიაში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და დამტკიცების წესი“, რომელიც დამტკიცებულია 2024 წლის 03 აპრილის №01/8 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტი უზრუნველყოფს პროგრამების განვითარების პროცესის სტრუქტურირებულ, გამჭვირვალე და ხარისხზე ორიენტირებულ მართვას.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასებისა და უკუკავშირის სხვადასხვა ინსტრუმენტი, მათ შორის მოდულისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ანკეტები, პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასება პროფესიული სტუდენტების მიერ, სასწავლო პროცესზე დაკვირვების ანკეტა, კურსდამთავრებულთა კვლევა, ბიბლიოთეკის შეფასების კითხვარი, რესურსებისა და საინფორმაციო ინფრასტრუქტურის ეფექტიანობის შეფასების ინსტრუმენტები და სხვა.

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულებაში კვლევების განხორციელების პრაქტიკას, შეისწავლა კვლევის ანგარიშები და მათზე რეაგირების დოკუმენტები. დადასტურდა, რომ პროგრამების შეფასების პროცესში გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი, საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკა, რაც ხელს უწყობს პროგრამების ხარისხის გაუმჯობესებას.

შედეგად, აკადემიაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა წარმოადგენს ეფექტიან მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შენარჩუნებასა და განვითარებას, მათ შესაბამისობას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და პროფესიული განათლების თანამედროვე სტანდარტებთან. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევებისა და ვერიფიკაციის მიმართულების მენეჯერი.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.3.1.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ანგარიშების ანალიზი, სხვა პროგრამებთან მიმართებით, ადასტურებს, რომ აკადემიაში საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შეფასება ხორციელდება რეგულარულად და სისტემურად, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკით განსაზღვრული პროცედურებისა და მიდგომების შესაბამისად. პროცესის საფუძველს წარმოადგენს PDCA (დაგეგმვა–განხორციელება–შემოწმება–გაუმჯობესება) ციკლი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების შედეგების ანალიზსა და მათ საფუძველზე შესაბამისი გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვას.

პროგრამების მონიტორინგი ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით და ეფუძნება მრავალფეროვან წყაროებს, რაც უზრუნველყოფს მიღებული მონაცემების სანდოობასა და ობიექტურობას. შეფასების პროცესში გამოიყენება პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების უკუკავშირი, დამსაქმებლებისა და პარტნიორი ორგანიზაციების შეფასებები, პროფესიული განათლების მასწავლებლების მოსაზრებები, სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგები, კვლევების ანგარიშები და სხვა ვერიფიცირებული მონაცემები.

მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამებისა და მოდულების განვითარება და მოდიფიცირება. ცვლილებები შეიძლება შეეხოს სასწავლო შინაარსს, შეფასების სისტემას, საათობრივ დატვირთვას, სწავლების მეთოდებსა და სასწავლო რესურსებს. აღნიშნული პროცესი ხორციელდება დადგენილი პროცედურების დაცვით, შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით, ხოლო განხორციელებული ცვლილებები აისახება შესაბამის დოკუმენტაციაში.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ასევე მოიცავს მაკორექტირებელ მექანიზმებს, რომლებიც ითვალისწინებს შესაძლო შეუსაბამობების იდენტიფიცირებას, მათი გამომწვევი მიზეზების ანალიზს, პრევენციული და მაკორექტირებელი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებული ქმედებების ეფექტიანობის შემდგომ შეფასებას.

ექსპერტთა ჯგუფთან ჩატარებულმა გასაუბრებებმა და წარმოდგენილმა მტკიცებულებებმა დაადასტურა, რომ აკადემია სისტემურად ახორციელებს პროგრამების ხარისხის შეფასებას და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით დროულად გეგმავს შესაბამის გაუმჯობესების ღონისძიებებს. პროგრამის შეფასების შედეგები, რომლებიც ეფუძნება პროფესიული განათლების მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით მიღებულ ინფორმაციას, გამოიყენება პროგრამის განვითარებისა და საჭიროების შემთხვევაში მისი მოდიფიცირების მიზნით.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები განსაზღვრავს კვლევის მეთოდებს, ინსტრუმენტებს, სამიზნე ჯგუფებს, მონაცემთა ანალიზისა და შედეგების განხილვის პროცესებს. აღნიშნული მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევებისა და ვერიფიკაციის მიმართულების მენეჯერი.

შედეგად, დასტურდება, რომ აკადემიაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა უზრუნველყოფს პროგრამების განხორციელების შედეგების სისტემურ შეფასებასა და ამ შეფასებაზე დაფუძნებულ, დროულ და დასაბუთებულ გაუმჯობესების პროცესს, რაც ხელს უწყობს პროგრამების უწყვეტ განვითარებასა და სწავლების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.3.1.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**ა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- აკადემიის მიერ შემუშავებული კითხვარები;
- კითხვარების ანალიზი და ანგარიშები სხვა პროგრამებთან მიმართებით;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- აკადემიის ხარისხის მენეჯერთან გასაუბრების შედეგები;
- თავისუფალი ხედვის აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემა;
- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია და დამტკიცების წესი.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმები დამტკიცებულია თავისუფალი ხედვის აკადემიის 2026 წლის 18 მაისის №01/43 ბრძანებით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ორგანიზებულ, თანმიმდევრულ და ლოგიკურად გამართულ განხორციელებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფარმაციის (სააფთიაქო) პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებამ შეიმუშავა ორი სასწავლო გეგმა – ერთი ქართულენოვანი, მეორე კი არაქართულენოვანი კონტიგენტისთვის. ორივე გეგმა გაწერილია 2 აკადემიურ წელზე და უზრუნველყოფს პროგრამის თანამიმდევრულ განხორციელებას როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მოდულების ფარგლებში.

სასწავლო პროცესის დაგეგმვის ეტაპზე გათვალისწინებულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები, პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვის ნორმები და შეფასების პროცედურები, მათ შორის განმეორებითი შეფასებისთვის საჭირო დროითი ინტერვალები. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის დაბალანსებულ დაგეგმვას და სტუდენტთა სწავლის შედეგების ობიექტურ შეფასებას.

სასწავლო გეგმების სტრუქტურა შემუშავებულია პროგრამის შინაარსობრივი სპეციფიკისა და განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს სწავლების პროცესის ეფექტიანად ორგანიზებასა და სწავლის შედეგებზე ორიენტირებულ განხორციელებას. ეს მიდგომა უზრუნველყოფს როგორც ხარისხის მართვის პრინციპების დაცვას, ისე პროგრამის შესაბამისობას დარგის თანამედროვე მოთხოვნებთან და პრაქტიკულ საჭიროებებთან.

სასწავლო პროცესის მენეჯერთან ჩატარებული გასაუბრების მიხედვით ირკვევა, რომ პროგრამის განხორციელების პროცესში დაგროვილი გამოცდილება და პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ კალენდარული გეგმების ფარგლებში დაფიქსირებული უკუკავშირი გამოიყენება სასწავლო გეგმის პერიოდული გადახედვისას. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის გაუმჯობესების მიზნით ცვლილებები ხორციელდება აკადემიაში დადგენილი წესებისა და პროცედურების დაცვით, რაც უზრუნველყოფს პროცესის სისტემურობასა და გამჭვირვალობას.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.4.1.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

აკადემიაში შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო პროცესის ორგანიზების მექანიზმები და შესაბამისი რეგულაციები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სასწავლო პროცესის დაგეგმვა ითვალისწინებს მეცადინეობების განრიგის ფორმირების, ინფორმაციის დროული გავრცელებისა და სტუდენტებთან ეფექტიანი კომუნიკაციის უზრუნველყოფის პროცედურებს. კომუნიკაციისთვის განსაზღვრულია როგორც ოფიციალური დოკუმენტაციის, ისე სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების გამოყენება, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და ოპერატიულ გავრცელებას.

აკადემიაში დამტკიცებულია პროგრამის სასწავლო გეგმა, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის სტრუქტურას, ხანგრძლივობასა და სწავლის შედეგებს. დაწესებულებაში ასევე განსაზღვრულია სასწავლო გეგმის მოდიფიცირებისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესაძლებლობა, რაც ქმნის საფუძველს სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებისა და სწავლების მოქნილობის უზრუნველყოფისთვის.

დოკუმენტაციის შესწავლით დადასტურდა, რომ აკადემიაში შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის, პროფესიული სტუდენტების კონსულტირების და აკადემიური მხარდაჭერის მექანიზმები. ასევე განსაზღვრულია სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის, უკუკავშირის შეგროვებისა და მიღებული შედეგების გამოყენების პროცედურები, რაც ქმნის საფუძველს სასწავლო პროცესის მუდმივი გაუმჯობესებისა და სტუდენტთა საჭიროებებზე ორიენტირებული გარემოს განვითარებისათვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი რეგულაციები, პროცედურები და მექანიზმები ადასტურებს, რომ აკადემიას შექმნილი აქვს „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ინტერესებსა და საჭიროებებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ორგანიზებისთვის აუცილებელი წინაპირობები.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.4.1.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;**

„ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტაციის, სასწავლო გეგმისა და განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციის შესწავლის საფუძველზე დადასტურდა, რომ პროგრამა აგებულია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპების შესაბამისად. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და აქტივობების გამოყენებისთვის საჭირო პროფესიულ და პედაგოგიურ კომპეტენციებს, რაც პროგრამის ეფექტიან განხორციელებას უზრუნველყოფს.

პროგრამის შინაარსი და მოდულების სპეციფიკა ითვალისწინებს სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას, მათ შორის ინტერაქტიულ სწავლებას, ჯგუფურ და ინდივიდუალურ სამუშაოებს, დისკუსიებს, შემთხვევების ანალიზს, პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას, პროექტულ აქტივობებს, სიმულაციებს, პრაქტიკულ სავარჯიშოებსა და პროფესიული გარემოს მოდელირებაზე დაფუძნებულ დავალებებს. აღნიშნული მიდგომები ხელს უწყობს პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობების განვითარებას.

პროგრამის სასწავლო გეგმა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პრაქტიკული კომპონენტის ინტეგრირებას, რაც პროფესიულ სტუდენტებს რეალურ პროფესიულ გარემოსთან დაკავშირებული გამოცდილების მიღების შესაძლებლობას აძლევს. პრაქტიკულ სწავლებაზე ორიენტირებული აქტივობები უზრუნველყოფს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებასა და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას.

დოკუმენტაციისა და რესურსების შესწავლის შედეგად ასევე დადასტურდა, რომ პროგრამის განხორციელებისთვის ხელმისაწვდომია შესაბამისი მატერიალური, ტექნიკური და ციფრული რესურსები. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებების, ელექტრონული სასწავლო რესურსებისა და ციფრული პლატფორმების გამოყენება, რაც ხელს უწყობს სწავლების მრავალფეროვნებას და დარგის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.

პროგრამაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების ნაწილი დარგის მოქმედი სპეციალისტებია, რომლებიც ფლობენ დარგში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციებისა და ტექნოლოგიების შესახებ აქტუალურ ცოდნას. პროგრამის ხელმძღვანელთან ჩატარებული გასაუბრებით დადასტურდა, რომ იგი აქტიურად არის ჩართული შრომის ბაზრის მოთხოვნების, დარგობრივი სიახლეებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობისა და დანერგვის პროცესში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების პროცესში გაანალიზდა სტანდარტით რეკომენდებული მიდგომები, პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოცდილება და მათი რეკომენდაციები, რის საფუძველზეც განხორციელდა მოდულების ადაპტირება სწავლებისა და შეფასების კომპონენტებში. ამასთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებს გავლილი აქვთ შესაბამისი ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებზე და გამოხატავენ პროფესიული განვითარებისადმი მზაობას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი პროგრამა, სწავლების მეთოდები, ხელმისაწვდომი რესურსები და განმახორციელებელი პერსონალის კომპეტენციები ქმნის საფუძველს პროფესიული სტუდენტების მიერ დარგობრივი, პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებისათვის და უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.4.1.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**

აკადემიაში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (მე-9–მე-11 მუხლები) განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ადაპტირებას პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად. აღნიშნული რეგულაციები ეფუძნება თანასწორი ხელმისაწვდომობის, ინკლუზიურობისა და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს.ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გამოყენება გათვალისწინებულია როგორც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის, ასევე იმ შემთხვევებში, როდესაც სტუდენტის საგანმანათლებლო საჭიროებები მოითხოვს სასწავლო პროცესის განსხვავებულ ორგანიზებას. აღნიშნული მექანიზმი გამოიყენება სტუდენტის მობილობის, სტატუსის აღდგენის, მოდიფიცირებულ ან ოპტიმიზებულ პროგრამაზე გადასვლისა და სხვა შესაბამისი გარემოებების არსებობის დროს.დოკუმენტებით განსაზღვრულია, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების აუცილებლობა შეიძლება წარმოიშვას მაშინ, როდესაც პროფესიულ სტუდენტს დადგენილი აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება ან ჯანმრთელობის მდგომარეობის, ხანგრძლივი ავადმყოფობისა თუ სხვა ობიექტური გარემოებების გამო დროებით საჭიროებს სასწავლო პროცესის სპეციალურ რეჟიმში ორგანიზებას. ასეთ შემთხვევებში სტუდენტის საჭიროებების გათვალისწინებით მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში ჩართული არიან პროფესიული განათლების მასწავლებლები, პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები და თავად პროფესიული სტუდენტი, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მისი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებას. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია შესაბამისი სპეციალისტების ჩართვაც.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის არსებობის შემთხვევაში სწავლებისა და შეფასების პროცესი განხორციელდება სტუდენტის შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესაბამისად, რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროცესში სრულფასოვან ჩართულობასა და სწავლის შედეგების მიღწევას.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.4.1.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**

პროგრამის პრაქტიკული სწავლება ორგანიზებულია რეალურ პროფესიულ გარემოში, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა პრაქტიკაში გამოიყენონ და პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო უნარები სამუშაო პირობებში განივითარონ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამ მიზნით, აკადემიას (სააფთიაქო)/Pharmacy 2026 წლის 24 თებერვალს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულება სს „გეფასთან“ (ს/კ 201991229), რომლის მოქმედების ვადა 7 წელია. ხელშეკრულების და ასევე პრაქტიკის ობიექტთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პარტნიორი ორგანიზაცია უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებას სააფთიაქო ქსელში, მოქმედი პროფესიული სტანდარტებისა და სამუშაო პროცესების შესაბამისად.

პრაქტიკული სწავლების ფარგლებში სტუდენტები ჩაერთვებიან ფარმაცევტული დაწესებულების ყოველდღიურ საქმიანობაში, მათ შორის პროდუქციის მიღების, განთავსებისა და მარაგების კონტროლის პროცესებში; მომხმარებელთა მომსახურებასა და კონსულტირებაში; ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საშუალებების, ბიოლოგიურად აქტიური დანამატების, სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის, ასევე ავადმყოფის მოვლის საშუალებების შერჩევასთან დაკავშირებულ საქმიანობაში. გარდა ამისა, პრაქტიკული სწავლება მოიცავს მცირე შეფუთვადი მზა წამლების დაფასოების, შეფუთვისა და მარკირების პროცესებს, აგრეთვე ფარმაცევტულ დაწესებულებაში სანიტარიულ-ჰიგიენური, გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვას.

აღნიშნული თანამშრომლობა ქმნის პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის ეფექტიანად განხორციელების საფუძველს და უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ პროფესიული კომპეტენციების რეალურ სამუშაო გარემოში დაუფლებას.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.4.1.5) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

აკადემიას გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება შესაბამის პროვაიდერ ორგანიზაციასთან, რომელიც პასუხისმგებელია სამუშაო გარემოს უსაფრთხოების მონიტორინგზე. ხელშეკრულების ფარგლებში ხორციელდება სამუშაო სივრცეების პერიოდული შემოწმება, რისკების შეფასება და თანამშრომლებისთვის შრომის უსაფრთხოების საკითხებზე ინსტრუქტაჟებისა და საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება.

უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, აკადემიაში შემუშავებულია ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობისა და უსაფრთხოების ზოგადი წესები, რომლებიც განსაზღვრავს ლაბორატორიული საქმიანობის პროცესში დასაცავ მოთხოვნებს, ქიმიურ ნივთიერებებთან მუშაობის პრინციპებს, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების წესებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „ფარმაცია (სააფთიაქო)“ თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე. აკადემიაში მოქმედებს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა (ბრძანება №01-02/266, 11 ნოემბერი, 2022 წელი), რომლის საფუძველზეც უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა.

ქიმიური ლაბორატორია აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი გამწოვი კარადით, ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის წესებით, ქიმიური ნარჩენების სეგრეგაციისთვის განკუთვნილი კონტეინერებითა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით, მათ შორის ერთჯერადი ხელთათმანებით, ნიღბებით, დამცავი სათვალეებითა და ხალათებით. თვალსაჩინო ადგილებში განთავსებულია ახლად დატენილი ცეცხლმაქრები და ქიმიური ნარჩენების მართვისა და უტილიზაციის წესები. ამასთან, ქიმიური ნარჩენების მართვა ხორციელდება შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრაქტიკის ობიექტზე დაცულია საქმიანობისთვის საჭირო უსაფრთხოების მოთხოვნები, ხოლო პროფესიულ სტუდენტებს პრაქტიკული კომპონენტის დაწყებამდე უტარდებათ შესაბამისი უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი.

დაწესებულებას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტი, ხოლო შრომისა და სწავლის უსაფრთხო პირობები შეესაბამება საქართველოს ორგანული კანონის „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. პერსონალსა და პროფესიულ სტუდენტებს რეგულარულად უტარდებათ უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული ტრენინგები და საინფორმაციო ღონისძიებები.

აღნიშნული გარემოებები ადასტურებს, რომ აკადემიაში შექმნილია უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემო, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებას მოქმედი უსაფრთხოების ნორმებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.4.1.6) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ;
- „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა“;
- პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
- შრომის უსაფრთხოების წესი
- სასწავლო გარემოს დათვალიერების შედეგები;
- კომპიუტერულ ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის წესები;

**2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას**

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული ერთიანი პრინციპებისა და რეგულირებული პროცედურების საფუძველზე. შეფასების სისტემა რეგულირდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (მუხლები 39–58) და ორიენტირებულია შეფასების სიზუსტის, სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფაზე.

მარეგულირებელი დოკუმენტები განსაზღვრავს სტუდენტთა შეფასების, ინფორმირების, შედეგების გასაჩივრებისა და განმეორებითი შეფასების პროცედურებს, რაც ქმნის შეფასების პროცესის დადგენილი წესების შესაბამისად განხორციელების საფუძველს.

აკადემიაში მოქმედი წესის თანახმად, განმსაზღვრელ შეფასების ინსტრუმენტებს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი მოდულისა და შესაბამისი სწავლის შედეგების საფუძველზე. მოდულის განხორციელების დაწყებამდე აღნიშნული ინსტრუმენტები წარედგინება სწავლების, განვითარებისა და ინოვაციური პროცესების ხელშეწყობის მენეჯერს, რომელიც უზრუნველყოფს მათ ტექნიკურ და ფორმალურ შემოწმებას. სასწავლო პროცესის მენეჯერი ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციას, ხოლო ამ პროცესში მონაწილეობენ შესაბამისი დარგის სპეციალისტებიც.

აკადემიის შეფასების პრაქტიკა ეფუძნება სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში დაგროვილ გამოცდილებას, რაც უზრუნველყოფს შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და გამოყენების სტრუქტურირებულ და მდგრად მიდგომას.

შეფასების პროცესის კოორდინაციასა და ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს პროცესის ორგანიზებასა და მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას. წარმოდგენილი მექანიზმები ადასტურებს, რომ აკადემიაში დანერგილია შეფასების სისტემის თანმიმდევრული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპებთან შესაბამისი პრაქტიკა.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.4.2.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;**

აკადემიაში შეფასების პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს ვერიფიკაცია, რომლის განხორციელების წესი და პროცედურები განსაზღვრულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-5 თავში. დოკუმენტი არეგულირებს ვერიფიკაციის მიზნებს, მიმართულებებს, სახეებსა და ეტაპებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის შესაბამისობას მოქმედ მოთხოვნებთან და ხარისხის სტანდარტებთან.

ვერიფიკაციის პროცესი მოიცავს პასუხისმგებელი პირების განსაზღვრას, ვერიფიკატორთა შერჩევის კრიტერიუმებს, რისკებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებას, პროცესის დოკუმენტირებასა და შედეგების ანალიზს. ვერიფიკაციის შედეგად მომზადებული დასკვნები განიხილება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში და საჭიროების შემთხვევაში იგეგმება მაკორექტირებელი ან განვითარებისკენ მიმართული ღონისძიებები.

შეფასების ინსტრუმენტებისა და შედეგების გადამოწმებას ახორციელებს სპეციალურად შექმნილი ვერიფიკაციის ჯგუფი, რომლის საქმიანობას კოორდინაციას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევებისა და ვერიფიკაციის მიმართულების მენეჯერი. აკადემიის ხელმძღვანელის ბრძანებით განსაზღვრული ჯგუფის შემადგენლობაში შედიან შესაბამისი მიმართულების მენეჯერი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები, პროფესიული განათლების მასწავლებლები და დარგის სპეციალისტები.

ვერიფიკაციის პროცესის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევებისა და ვერიფიკაციის მიმართულების მენეჯერი ამზადებს რისკების რეესტრს. რისკების ანალიზის საფუძველზე ხდება ისეთი სფეროების იდენტიფიცირება, სადაც შეუსაბამობების ალბათობა მაღალია,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათ შორის: დამწყები მასწავლებლების ფაქტორი, პრაქტიკული დავალებების სირთულე და მოცულობა, ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა და საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილებები.

ვერიფიკაციის ფარგლებში მოწმდება შეფასების ინსტრუმენტების შესაბამისობა სწავლის შედეგებთან, შეფასების პროცესის სანდოობა და შეფასების მტკიცებულებების სისრულე და ხარისხი.

პროცესის ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად, ვერიფიკატორი არ მონაწილეობს იმ შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში, რომლის ვერიფიკაციასაც ახორციელებს, რაც უზრუნველყოფს პროცესის დამოუკიდებლობასა და შედეგების სანდოობას.

შედეგად, აკადემიაში დანერგილი ვერიფიკაციის მექანიზმი უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ხარისხის კონტროლს, სისტემურ მონიტორინგსა და განვითარებაზე ორიენტირებულ მართვას, რაც გათვალისწინებულია „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესშიც.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.4.2.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. **პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**

პროფესიული სტუდენტების შეფასების პროცესის გამჭვირვალობისა და მიკვლევადობის უზრუნველსაყოფად, აკადემიაში მოქმედებს შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მართვისა და შენახვის წესი, რომელიც განსაზღვრულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 49-ე მუხლით.

შეფასების პროცესში შექმნილი და გამოყენებული ყველა დოკუმენტი, მათ შორის შეფასების ინსტრუმენტები, შეფასების შედეგები და შესაბამისი მტკიცებულებები, ექვემდებარება რეგისტრაციასა და სისტემურ აღრიცხვას. აღნიშნულ პროცესზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს დოკუმენტაციის სრულყოფილად აღრიცხვასა და ორგანიზებულ მართვას.

სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ შეფასებასთან დაკავშირებული მასალები თავსდება სპეციალურად გამოყოფილ და დაცულ საცავში, სადაც მათი შენახვა ხორციელდება სამი წლის ვადით. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობას, მიკვლევადობასა და საჭიროების შემთხვევაში მისი გადამოწმების შესაძლებლობას.

**ვინაიდან აკადემიას ჯერ ამ პროგრამის პროფესიული სტუდენტები არ ჰყავს, მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენების საკითხები ვერ შეფასდა.**
**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.4.2.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ხარისხის მართვის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადასტურდა, რომ აკადემიაში შეფასების პროცესი ეფუძნება განმავითარებელი შეფასების სისტემურ გამოყენებასა და წინა პროგრამებში ჩამოყალიბებულ პრაქტიკულ გამოცდილებას. აღნიშნული მიდგომა მომავალშიც იქნება გამოყენებული და განგრძობითად დაინერგება ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესის განმავლობაში მასწავლებლები რეგულარულად ახორციელებენ სტუდენტთა მიღწევების ანალიზს, უზრუნველყოფენ უკუკავშირის მიწოდებას და საჭიროების შემთხვევაში გასცემენ ინდივიდუალურ რეკომენდაციებს, რაც ხელს უწყობს სწავლის შედეგების გაუმჯობესებასა და პროფესიული უნარების განვითარებას. ეს პრაქტიკა ეფუძნება განმავითარებელი შეფასების დამკვიდრებულ მიდგომებს და მომავალშიც უზრუნველყოფილი იქნება სისტემური გამოყენებით.

უკუკავშირის მექანიზმის ფარგლებში გათვალისწინებულია სტუდენტებთან კონსულტაციების ჩატარება და შესაბამისი ჩანაწერების ასახვა მოდულურ დოკუმენტაციაში, რაც უზრუნველყოფს სწავლების ინდივიდუალიზაციასა და სტუდენტთა აკადემიური პროგრესის მხარდაჭერას.

ამასთან, აკადემია სასწავლო პროცესის დასრულების შემდგომ ახორციელებს შეფასების შედეგების სისტემურ ანალიზს, რომლის ფარგლებში ფასდება სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებლები, შეფასების შედეგიანობა და პროგრამის განხორციელების საერთო დინამიკა. მიღებული მონაცემები გამოყენებული იქნება საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით.

ანალიზის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია განხორციელდეს შესაბამისი გაუმჯობესების ღონისძიებები, მათ შორის მოდულების შინაარსისა და თანმიმდევრობის კორექტირება, სწავლებისა და შეფასების მეთოდების დახვეწა, შეფასების ინსტრუმენტების გაუმჯობესება და სასწავლო რესურსების განახლება, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის მუდმივ განვითარებას.

პროფესიულ მასწავლებლებთან ინტერვიურებით დადასტურდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა მხრიდან სტუდენტთა მხარდაჭერა და შეფასების შედეგების გამოყენება მათი შემდგომი განვითარებისათვის.

აღნიშნული მიდგომა გათვალისწინებული იქნება და თანმიმდევრულად დაინერგება ასევე „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში, რაც უზრუნველყოფს შეფასების ერთიანი სისტემის გამოყენებასა და განმავითარებელი შეფასების პრაქტიკის ეფექტიან ინტეგრაციას ამ პროგრამაშიც.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.4.2.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- სასწავლო პროგრამის მარეგულირებელი წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- ვერიფიკაციის გეგმები და ვერიფიკაციის პროცესის მტკიცებულებები;
- ვალიდაციის მტკიცებულებები;
- გასაუბრების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან.
- მტკიცებულებების შენახვისა და განკარგვის წესი
- სტუდენტთა კითხვარები

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია**

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

**10.07.2026**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: